

ქეთევან ციხელაშვილი ნიქოზსა და დიცში იმყოფებოდა

21 მარტი 2017

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქეთევან ციხელაშვილმა საქართველო-ევროკავშირის საინფორმაციო კვირეულის ფარგლებში გუბერნატორის ადმინისტრაციაში საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელსაც შიდა ქართლის გუბერნატორი, კახა სამხარაძე, გუბერნატორის მოადგილეები, ქ. გორის მერი, ზურაბ ჯირკველიშვილი და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი, დავით ონიაშვილი ესწრებოდნენ. ამავდროულად, მინისტრი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების, ნიქოზისა და დიცის მოსახლეობას შეხვდა, სადაც ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის საკითხებზე, ასევე საქართველო- ევროკავშირის თანამშრომლობაზე ისაუბრებს. „სიმბოლურია რომ დღეს აქ, მავთულხლართებიდან რამდენიმე მეტრში ვსაუბრობთ უვიზოდ გადაადგილებაზე. მოსახლეობას ვანვდით ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის სარგებელზე, რომელიც სულ მალე ამოქმედდება საქართველოს მოქალაქეებისთვის. სიმბოლურია, რადგან ადამიანებს ამ სოფლებში და ადამიანებს მავთულხლართების მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სულ რამდენიმე მეტრში თავისუფლად გადაადგილდნენ, ესტუმრონ ახლობლებს, ნათესავებს, იმუშაონ საკუთარ მიწებზე.“ – აღნიშნა ციხელაშვილმა. სახელმწიფო მინისტრთან ერთად დიცსა და ნიქოზში, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ტექნიკურ საკითხებზე მონვეულმა ექსპერტმა, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) თავმჯდომარემ მიხეილ მირზიაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურ ინფორმაცია მიაწოდა.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეთანხმებით რეგულარულად ტარდება შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შეხვედრების ციკლის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, მონვეული ექსპერტები, პროექტისა და საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას ხვდებიან. შეხვედრებზე საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე, ევროპულ ღირებულებებსა და ინტეგრაციის პროცესის პრიორიტეტებზე მსჯელობენ.